ჩემპიონატი

## ორი “დინამოს” მატჩი

24 ნოემბერს ბერიას სახელობის სტადიონი მაყურებლებით გაიჭედა. მატჩი შედგა **ლენინგრადის “დინამოსა” და თბილისის “დინამოს”** ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ლენინგრადის “დინამოს” კოლექტივმა განსაკუთრებული სიძლიერით ჩაატარა 1938 წლის სეზონის პირველი ნახევარი. გუნდი მოხდენილად თამაშობდა, მას ახასიათებდა ზუსტი, ლამაზი გადაცემა, მთელი რიგი მოთამაშენი – ნიკოლოზ დენისოვი, ალოვი, ბიკოვი, საზონოვი – დაწინაურდნენ საუკეთესო ოსტატთა რიგებში. მაგრამ სეზონის ბოლოს გუნდი აირია და საშუალო ადგილი დაიკავა.

24 ნოემბერს ჩატარებულმა მატჩმა აშკარად დაგვანახა ლენინგრადის “დინამოს” ჩამორჩენილობის მიზეზები.

ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება თავდამსხმელებისა და ნახევარდაცვის მიერ ბურთის დაუსრულებელი ტრიალით, ბურთის გადაცემის მუდმივი დაგვიანებით. კარგად თამაშობენ თავდამსხმელები, მაგრამ გარე ნახევარმცველები მუდამ, როცა მათ გადასცემენ ბურთს, იწყებენ წაღებას, მოწინააღმდეგის გარს შემოვლას მაშინაც კი, როცა წინ არიან მოთამაშენი, რომლებისთვისაც შეიძლება ბურთის გადაცემა.

მთელი მატჩის განმავლობაში ლენინგრადელებმა ვერ შესძლეს ვერცერთი კომბინაციის გათამაშება, ისინი ან კარგავდნენ ბურთს, ან, როცა გადაცემას განიზრახავდნენ, თბილისელთა დაცვა კეტავდა მოთამაშეებს.

ლენინგრადელთა უდაო ნაკლს წარმოადგენდა გადაცემის ყოვლად დაუშვებელი უზუსტობა. გადაცემა მეტად ზუსტი უნდა იყოს. ბურთი თავის გუნდის მოთამაშეს უნდა გადაეცეს არა ფეხებში, არამედ მის მახლობლად მოედნის თავისუფალ ადგილას, იმ ანგარიშით, რომ ბურთთან სწრაფად მისვლით მიიღოს იგი, გაქცევით მისცეს საჭირო მიმართულება.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებს უნდა მივუმატოთ კართან დარტყმის ყოვლად დაუშვებელი აცდენა.

ყოველივე ამან ისინი მიიყვანა იქამდის, რომ თამაშის პირველ 15 წუთში, როცა თბილისის “დინამოს” კარებში “ისხდნენ”, ლენინგრადელებმა ვერ შეძლეს ვერცერთი ბურთის გატანა.

თამაშის პირველ წუთებში თბილისის “დინამოს” ბევრი მუშაობა მოუხდა და მხოლოდ პატარა გადაცემებით კმაყოფილდებოდა. მაგრამ ბერძენიშვილის გრძელი გასწვრივი გადაცემების შემდეგ შეიქმნა რამდენიმე საშიში მდგომარეობა ლენინგრადელების კართან. მე-17 წუთზე ზუსტი, გრძელი გადაცემით ბურთი მიიღო ჯეჯელავამ. იგი შეხვდა რა პირისპირ დენისოვს, ლენინგრადის კარიდან 20 მეტრის მანძილზე, მოხდენილი “ფინტით” აიძულა დენისოვი გადავარდნილიყო განზე. ყველა მოელოდა, რომ ჯეჯელავა წაიღებდა ბურთს, მაგრამ მან ელვისებური სისწრაფით გაგზავნა კარის ზედა კუთხეში და გახსნა ანგარიში.

ახლა თბილისის “დინამო” გაიშალა, როგორც ზამბარა, და ლენინგრადელები თანდათან გამოდევნა თავისი კარიდან. საუკეთესოდ მოთამაშე ფროლოვი, აგრეთვე ბერძენიშვილი და გაგუა არათუ საშუალებას აძლევდნენ სტუმრებს მოეტანათ იერიშები, არამედ კარგი გადაცემით ეხმარებოდნენ თავიანთ თავდამსხმელებს. მართალია პირველი ტაიმის დასასრულს ანგარიში არ შეცვლილა, მაგრამ საგრძნობი გახდა, რომ თამაშის ინიციატივა მასპინძლების ხელში იყო.

ლენინგრადელებიდან სხვაზე უკეთესად და მონდომებით თამაშობენ თავდამსხმელები ბიკოვი და საზონოვი, მაგრამ არც ნახევარდაცვა და არც ცენტრალური სამეული არ ეხმარება მათ.

მეორე ტაიმი თბილისელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს, პაიჭაძე, ჯეჯელავა, ბერეჟნოი მედგრად უტევენ ლენინგრადელებს.

თამაშის ბედი ათი წუთის განმავლობაში წყდება. მე-20 წუთზე კართან ორომტრიალის დროს პაიჭაძეს გააქვს ბურთი. ერთი წუთის შემდეგ გაგუა საჯარიმო მოედნიდან ბურთს აწვდის ბერეჟნოის, ის კი თავით გზავნის ლენინგრადელთა კარში. ანგარიში – 3:0. 25-ე წუთზე დაცვის გაუფრთხილებლობა საშუალებას აძლევს ფედოროვს გაარღვიოს მოწინააღმდეგე და გადაარჩინოს თავისი გუნდი მშრალი წაგებისაგან – 3:1. 30-ე წუთზე რამდენიმე გადაცემის შემდეგ ჯეჯელავა ძლიერი დარტყმით გზავნის ბურთს ლენინგრადელების კარისაკენ. იგი ხვდება დენისოვს, რომელსაც თავისივე კარში გააქვს. ანგარიში – 4:1.

ახლა ლენინგრადელებმა მოახდინეს ადგილების გადანაცვლება. მარცხენა ნახევარ შუამარბი დემენტიევი გამოდის წინ და მარცხენა გარემარბი ბიკოვი გრძელი გადაცემებით ცდილობს შეუქმნას მას გარღვევის საშუალება. ორჯერ მოახერხეს ეს, მაგრამ დემენტიევი კარს ორჯერ აცდენს ბურთს.

ამრიგად, თბილისის "დინამომ" მოიპოვა ზედიზედ სამი გამარჯვება. ძნელია დაეჭვება იმაში, რომ ისინი ვერ მოიგებენ უკანასკნელ მატჩს ოდესის "დინამოსთან".

საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში წარმოადგენს მასში მონაწილე გუნდების ძალთა ძლიერ და ხანგრძლივ გამოცდას. გათამაშების ბოლომდის კარგი სპორტული ფორმისა და გამარჯვებისადმი ნებისყოფის შენარჩუნება, დასრულების უნარი ჩვეულებრივად წყვეტს გუნდის წარმატებას. სწორედ ამ თვისებამ საშუალება მისცა "სპარტაკს" დაეკავებინა პირველი ადგილი. თბილისის "დინამოს" საუკეთესო ფინიში, აშკარაა, მათ მეორე ადგილს მოუპოვებს.

**მიხეილ რომი (მწერალი).**
**"ახალგაზრდა კომუნისტი", 26 ნოემბერი, 1939 წ.**